მორიგი ცვლილებები „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში

2026 წლის 15 აპრილს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში კიდევ ერთხელ შევიდა ცვლილებები. განახლებული რედაქციით გაფართოვდა იმ გამონაკლისთა წრე, რომლებზეც კანონის მოქმედება არ გავრცელდება (შრომითი საქმიანობის ნებართვის, ბინადრობის ნებართვისა და D1 კატეგორიის ვიზის მოპოვების ნაწილში).
გამონაკლისები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როგორებიცაა:

- უცხოელის მიერ საქართველოს მთავრობის წევრის წერილობითი ინიციატივის საფუძველზე გაცემული მოქმედი სპეციალური ბინადრობის ნებართვის ფლობა.

- საქართველოში მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობის განხორციელება. ცვლილებებით განისაზღვრა, რომ მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობა არის უცხოელის მიერ საქართველოში განხორციელებული პროფესიული საქმიანობა/მომსახურება, რომელიც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით, არ არის ადგილობრივ შრომის ბაზარზე ხანგრძლივი დასაქმება და კონკრეტულ მოკლევადიან პროექტთან, ღონისძიებასთან ან მომსახურებასთან არის დაკავშირებული. უცხოელის მიერ განსახორციელებელი მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობების ჩამონათვალი, მათი ხანგრძლივობა და კრიტერიუმები დაზუსტდება და განისაზღვრება საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით.

- უცხოელის მიერ საჯარო დაწესებულების ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს სასარგებლოდ საქმიანობის განხორციელება.

- ადგილობრივი დამსაქმებლისთვის შრომითი საქმიანობის სრულად დისტანციურად გახორციელება, თუ იგი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას არ საჭიროებს.

- შრომითი საქმიანობის/მომსახურების განხორციელება არარეზიდენტი პირის სასარგებლოდ, თუ იგი საქართველოს ფარგლების გარეთ საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება.

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საკონსერვაციო, სარესტავრაციო ან/და სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება.

- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირველ, მეორე ან მესამე კატეგორიის საწარმოში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ხელმძღვანელობით ან მმართველობით საქმიანობის ან აუდიტის კომიტეტში საქმიანობის განხორციელება. შესაბამისად, თუ საწარმო არ არის მეოთხე კატეგორიის და აკმაყოფილებს პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოს კრიტერიუმებს, მის უცხოელ ხელმძღვანელებზე, დირექტორებზე ან მმართველობითი ორგანოს, აუდიტის კომიტეტის წევრებზე, კანონის მოთხოვნები არ გავრცელდება.

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი - ცვლილებების მიღებამდე დასაქმების სააგენტომ დაადასტურა, რომ კანონი ვრცელდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზეც, თუმცა ჯერჯერობით დაუზუსტებელია აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მოხვდებიან თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მითითებულ გამონაკლისში.

რაც შეეხება პარტნიორს, სააგენტოს მიერ დადასტურდა, რომ კანონი არ მოქმედებს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების პარტნიორებზე. უახლესი ცვლილებების შესაბამისად კი თვითდასაქმებული უცხოელის განმარტებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „პარტნიორი“.

ცვლილებებით ასევე განისაზღვრა, რომ უცხოელს შესაძლოა უარი ეთქვას შრომითი საქმიანობის ნებართვის მიღებაზე, თუ იგი არ წარადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების კრიტერიუმების დაკმაყოფილების დამადასტურებელ შესაბამისი დოკუმენტაციას ან/და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სხვა შესაბამის დოკუმენტაციას. აღნიშნული დადგენილება ჯერჯერობით არ არის მიღებული და უცნობია, თუ დამატებით რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს უცხოელმა.

გარდა აღნიშნული ცვლილებებისა სააგენტოს მხრიდან დაზუსტდა კონკრეტული საკითხები, კერძოდ:

- თვითდასაქმებულმა უცხოელმა შრომითი საქმიანობის უფლება უნდა მოითხოვოს და პორტალზე განცხადება უნდა შეავსოს პირადად. მის ნაცვლად მესამე პირის მიერ, თუნდაც მინდობილობის საფუძველზე საქმიანობის ნებართვისთვის განცხადების შევსება ან/და ნებართვის მიღება არის დაუშვებელი.

- უცხოელი ტურისტული მიზნით შემოსვლის საფუძვლით არ უნდა ახორციელებდეს საქართველოში შრომით/სამეწარმეო საქმიანობას. აღნიშნული მიზნებისთვის მან უნდა აიღოს D1 კატეგორიის ვიზა და შემდგომ შრომითი ბინადრობის ნებართვა.

- ამასთან, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტომ დააზუსტა, რომ ელექტრონულ სისტემაში შრომითი მიგრანტის რეგისტრაციისას უნდა მიეთითოს მასთან შრომის ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და არა მისი ძალაში შესვლის თარიღი (მაგალითად, თუ შრომის ხელშეკრულებას მხარეებმა ხელი მოაწერეს 2026 წლის 1 აპრილს, ხოლო შრომის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ იგი ძალაში შედის 2026 წლის 1 მაისიდან, სისტემაში უთითებთ გაფორმების თარიღს, ანუ 2026 წლის 1 აპრილს).

- ვინაიდან უცხოელი, რომელიც საქართველოში მომსახურებას გასწევს (გარდა ზემოთხსენებული მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობისა) მიიჩნევა თვითდასაქმებულად, ნებისმიერი პირი, რომელიც მისგან იღებს მომსახურებას (მომსახურების ორგანიზატორი) ვალდებულია შეამოწმოს აქვს თუ არა მას მოპოვებული შრომითი საქმიანობის ნებართვა.

საკონტაქტო დეტალები

დავით გელაშვილი
პარტნიორი, BDO ლეგალის ხელმძღვანელი

dgelashvili@bdo.ge

+995 599 388 023

ანა კაკალაძე
იურისტი, BDO Legal

akakaladze@bdo.ge

+995 598 51 11 56